

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ალმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის
ებრაისტიკა-არამეისტიკის კათედრა



სამეცნიერო კონფერენცია

ედღვნება სემიტოლოგი ებრაისტის
მანანა (მაკა) გოცირიძის
65-ე წლისთავს



პროგრამა/თეზისები

28 იანვარი
2021
თბილისი

საორგანიზაციო კომიტეტი:

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

ასოც. პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია

ასოც. პროფესორი ანა ხარანაული

ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

რეგლამენტი:

პლენარულ სხდომაზე – 20 წუთი

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

სამუშაო ენა – ქართული

28 იანვარი

11.30 -12.30

კონფერენციის გახსნა

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

მისალმება – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი – ნანა გაფრინდაშვილი

მოგონებები

13.00 -15.00

პლენარული სხდომა

სხდომის თავმჯდომარე –

ასოცირებული პროფესორი მარიამ ჩაჩიბაია

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

ზურაბ კიკნაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბელის დაბრუნება

მარიამ ჩაჩიბაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სირიული პოლემიკური მწერლობის შესახებ

გურამ ჩიქოვანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

დიალექტოლოგიური მასალა, როგორც წყარო

მარიკა ჯიქია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თურქული წარმომავლობის პერსონაჟები ქართულ პოეზიაში

(თურქი, ხაზარი, ყივჩაღი, პაჭანიკი, თათარი)

მარინა მეფარიშვილი

იდიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წეხეთელის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

რედუპლიცირებული ზმნური ძირები სხვადასხვა სემიტურ ენებში

15.00-18.00

პირველი სხდომა

სხდომის თავმჯდომარე –

ასოცირებული პროფესორი მამუკა ბუცხრიკიძე

(ზუმის აიდი 941 9708 6517)

ლელა ბახტაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ენათა შემსწავლელი ცენტრი

ებრაული საქმიან-ოფიციალური ენიდან თარგმანის თავისებურებანი

ნათელა ჟვანია

იდიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წეხეთელის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

Wa – „და“ კავშირის შესახებ ეთიოპურში

მამუკა ბუცხრიკიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ძე კაცისა, ძე ღვთისა

ნანა გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ებრაელთა ჩინეთში დასახლების ისტორიიდან

ლალი გულედანი

იდიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელების მეტყველების ძირითადი მახასიათებლები

სოფიო მუჯირი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ებრაული მისტიკა და კაბალა ფრანც კაფკას „პროცესში“

მურმან ქუთელია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ. წეხეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-სტიტუტი

ღმერთი და იესო ქრისტე ჯიბრან ხალილ ჯიბრანის შემოქმედებაში

ნონა ნებიერიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ებრაელთა განსახლების ისტორიისათვის სამხრეთ საქართველოში და მათი სოციალური მდგომარეობა

15.00-18.00

მეორე სხდომა

სხდომის თავმჯდომარე –

ასოცირებული პროფესორი ანა ხარანაული

(ზუმის აიდი 346 272 7604)

მარინე ივანიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მცენარეთა ებრაული სახელები ქართულ ოთხთავში

ანა ხარანაული

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლიის ებრაული შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში

ნათია დუნდუა

კოხნედი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წეხეთის აღმოსავლეთმცოდნეობის ინ-სტიტუტი

ებრაიზმები გობის წიგნის ქართულ თარგმანში

ნათია მიროტაძე

კოხნედი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხედნაწეხთა ეხოვნუდი ცენტრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რას გვიამბობენ საკუთარი სახელები (ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების მაგალითზე)

ლალი ვაშაყმაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ებრაიზმები ივდითის წიგნის ძველ ქართულ ვერსიებში

თამარ მაგრაქველიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლია – ლიტერატურული ნაწარმოების ეტალონი იაკობ ხუცესისთვის

15.00-18.00

მესამე სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი დარეჯან გარდავაძე

(ზუმის აიდი 280 517 9446)

ფატმან ანთაძე-მალაშხია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სპარსულ ნასესხობათა ერთი ტიპისათვის ქართულში

შალვა გაბესკირია

თავისუფალი უნივერსიტეტი
ტოპონიმ „თბილისის“ ისტორიისა და წარმომავლობისათვის

ნინო ეჯიბაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პარალელიზმი და კალამბური არაბულში

ზვიად ცხვედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰისმას უდაბნოს არაბული დიალექტის ერთი თავისებურების შესახებ

დარეჯან გარდავაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**არის თუ არა ხალიდ ხალიფას „სიკვდილი მძიმე შრომაა“ დის-
ტოპიური რომანი?**

ელენე ჯაველიძე

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წეხეთელის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი*

**წარართული სტრატეგიები ორჰან ფამუქის რომანში „მე წი-
თელი მქვია“**

ირინე ნაჭყებია

*ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გ.წეხეთელის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი*

**ნაპოლეონის წარგზავნილთა ცნობები თეირანის შესახებ
(1806-1809)**

15.00-18.00

მეოთხე სხდომა

სხდომის თავმჯდომარე – პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

(ზუმის აიდი 369 068 2063)

დარეჯან თვალთვაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**„ვითარ იგი ბერძულად არს“ – რამდენიმე საკითხი სახარება-
ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ისტორიიდან**

მარიამ მირესაშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბიბლიური თქმულებებისა და მითების ტრანსფორმირება
მე-20 საუკუნის ლიტერატურულ დისკურსში**

ნანა გაფრინდაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იმპერიული მითები, როგორც სოციალური კონსტრუქცია და ქართული საბჭოთა ლიტერატურა

ნინო წერეთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბჭოთა ცენზურა და ლიტერატურა (მეოცე საუკუნის 20-იანი წლები)

ეკატერინე ნავროზაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბიბლიური მეტაფორები და მათი თარგმანი

ნინო პოპიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროზელიტიზმის ფუნქციისათვის ჰაგიოგრაფიულ ტექსტში

ანა კოპალიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
იდეოლოგია და თარგმანის მეთოდოლოგია – ამერიკელი ქალი პოეტების საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული თარგმანების მიხედვით

დიანა ბითვარდი

კავაკასიის უნივერსიტეტი
ბიბლიური მოტივები ა. ჩეხოვის შემოქმედებაში (მოთხრობა „მკვლელობის“ მაგალითზე“)

ფატმან ანთაძე-მალაშხია

სპარსულ ნასესხობათა ერთი ტიპისათვის ქართულში

სპარსულ-ქართულ ენობრივ ურთიერთობათა ხანგრძლივობამ განაპირობა სპარსულიდან შემოსულ ნასესხობათა სპეციფიკური ტიპის, კერძოდ, ციკლურ ნასესხობათა არსებობა ქართულში. ამგვარ ერთეულებად მოვიაზრებთ იმ ნასესხობებს, რომლებიც ციკლურად, ანუ სპარსული ენის ისტორიის ორ სხვადასხვა – საშუალო და ახალ პერიოდში შემოვიდნენ ქართულში. ამ სახის ნასესხობათა ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშანი მათი სხვადასხვაგვარი ფონეტიკური შეთვისებაა, რასაც თავად საშუალო და ახალ სპარსულს შორის არსებული ფონეტიკური განსხვავებები განაპირობებს.

რაც შეეხება განსახილველ ნასესხობათა მორფოლოგიურ შეთვისებას, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება მორფოლოგიური კატეგორიის ცვლილება. კერძოდ, ესაა საშუალო სპარსული ზედსართავი *čāpuk* „სწრაფი, მკვირცხლი“ > ქართულში გაარსებითებული *ჭაბუკი* გაარსებითებული ზედსართავი „ჯერ კიდევ დაუვაჟკაცებელი ახალგაზრდა, ყმანვილკაცი“ (შდრ. მორფოლოსემანტიკურად უცვლელი ციკლური პარალელი: ახალი სპარსული ზედსართავი *čābok* „სწრაფი, მკვირცხლი“ > ჩაუქ).

სემანტიკური შეთვისების თვალსაზრისით, დასტურდება როგორც სემანტიკური უცვლელობის, ასევე – სემანტიკური ცვლილებების შემთხვევები. სემანტიკური ცვლილებისას ეტიმონსა და ნასესხობას შორის დასტურდება ჰიპო-ჰიპერონიმული (მაგალითად, ახალი სპარსული *rama/rāme* „ჯოგი, ფარა“ > რემა „ცხენის ჯოგი“) ან იმპლიკაციური მიმართება (მაგალითად, საშუალო სპარსული *ramak* „ჯოგი, ფარა“ > რემაკი „გაუხედნავი ჭაკი ცხენი ან ვირი“).

საკუთრივ ციკლურ ნასესხობებებს შორის არსებული სემანტიკური მიმართებები წარმოდგენილია როგორც შინაარსობლივი იგივეობით (მაგალითად, ზირაკი/ძირაკი/ზირა/ძირა „მწვანლის სახეობა“), ასევე განსხვავებით (იხ. რემაკ-ი/რემა-ს მაგალითი).

ლელა ბახტაძე

ებრაული საქმიან-ოფიციალური ენიდან თარგმანის თავისებურებანი

ტერმინი „ბიზნეს-ენა“, „საქმიანი ენა“ ფართო მნიშვნელობისაა და მოიცავს საქმიან-ოფიციალური სფეროს ყველა ასპექტს – ბიზნესი, ვაჭრობა, საერთაშორისო ურთიერთობები, პრეზენტაციები, ოფიციალური შეხვედრები, მოლაპარაკები და ა.შ.

ზოგადად, ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- მიზნის გამოხატვის სიზუსტე;
- ლაკონიზმი;
- ოფიციალური დოკუმენტური სტანდარტის არსებობა;

ებრაულმა ენამ, რომელიც მე-18 საუკუნემდე მხოლოდ „ნიგნის ენა“ იყო, განვლო განვითარების მტკივნეული და რთული პროცესები, სანამ იქცეოდა ისრაელის სახელმწიფო ენად. ებრაული ენის აკადემია, რომელსაც განუზომელი ღვაწლი აქვს გაწეული ენის განვითარებაში, დღემდე ეწევა მრავალმხრივ მოღვაწეობას სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიის შერჩევა-ადაპტაციაში.

ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისრაელის სახელმწიფოსთვის, სადაც რეალურად მიმდინარეობს ტექნოლოგიური რევოლუცია, რაც თავისთავად გულისხმობს ახალი ტერმინოლოგიის, ცნებების დამკვიდრებასა და გავრცელებას.

საქართველოსა და ისრაელის საქმიანი ურთიერთობები უკვე 20 წელზე მეტს ითვლის.

ორ ქვეყანას შორის პარტნიორობის განვითარებასთან ერთად გაჩნდა საჭიროება ოფიციალური დოკუმენტაციის თარგმნისა ებრაულიდან ქართულად და პირიქით.

ქართულიდან ებრაულ ენაზე თარგმნისას ხშირად რთულია შესაბამისი ეკვივალენტის შერჩევა, ამიტომ საჭირო ხდება სიტყვასიტყვითი თარგმანი, რათა თავიდან ავიცილოთ უზუსტობა.

თუ შევადარებთ სხვადასხვა შინაარსის ოფიციალურ დოკუმენტებს ქართულ და ებრაულ ენებზე, განსხვავება სტილსა და სტრუქტურას შორის საკმაოდ დიდია, რაც პირველ რიგში, ებრაული ენის სპეციფიკას უკავშირდება.

თარგმნის პროცესში შეიძლება შეიცვალოს წინანდადების წყობა, მეტყველების ნაწილები ნათარგმნ ტექსტში შეიცვალოს სხვა მეტყველების ნაწილებით, რაც იწვევს გრამატიკულ ტრანსფორმაციას და, შესაბამისად, ეს აისახება ტექსტის მოცულობაზე.

თარგმნის პროცესში იცვლება წყობა, თანმიმდევრობა და საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, რომ ზუსტად გადმოიცეს კონტექსტი, ნიუანსი და კატეგორიულობის ხარისხი.

დიანა ბითვარდი

ბიბლიური მოტივები ა. ჩეხოვის შემოქმედებაში (მოთხრობა „მკვლელობის“ მაგალითზე“)

დეტალი – ა. ჩეხოვის მოთხრობების ძირითადი ელემენტი – რიგ შემთხვევაში მიუთითებს მითოლოგიურ სისტემასთან განსაზღვრულ კავშირზე. ცალკეული ელემენტები – სივრცისა და დროის აგებულება, გმირების ურთიერთკავშირი, კომპოზიციის ორგანიზება წარმოადგენს მოდელს, რომელიც შეესაბამება კონკრეტულ მითს. მაგალითად, ორი პერსონაჟის კონფლიქტი შეესაბამება მითს ტყუპების შესახებ.

ა. ჩეხოვის მოთხრობაში „მკვლელობა“ ტყუპების მოტივი უკავშირდება სამყაროს შექმნის იდეას. გმირებს აქვთ საკუთარი ფასეულობების სისტემა. ქაოსი – რელიგიაა, რომელიც არსე-

ბობს, მაგრამ რომელსაც გმირი არ განიცდის. წესრიგი კი ის სამყაროა, რომელიც იწყება უშუალოდ გმირისგან. სწორედ ეს უკანასკნელი არის შემქმნელი და უფალი. მოთხრობაში მითიური დროის ციკლი გამოიხატება ერთი და იმავე სიუჟეტური მოდელების გამეორებით.

ა. ჩეხოვის მოთხრობაში მეორდება მითისთვის დამახასიათებელი დადებითი და უარყოფითი პერსონაჟების გაძევების მოტივი, რასაც ემატება კაენისა და აბელის ბიბლიური ეპიზოდი. ბიბლიაში გაძევება ლოგიკური დასასრულით – მკვლელობით მთავრდება. ჩეხოვთან კი დადებითი და უარყოფითი ენაცვლება მუდმივად ერთმანეთს და თანაარსებობს გმირებში.

ა. ჩეხოვის მოთხრობაში ნაჩვენებია ღმერთის ძებნის ორი გზა, ანუ ძველი და ახალი აღთქმის კონფლიქტი (Яков – Матвей შდრ.: Иаков – Матфей). მწერალს სურს, გვიჩვენოს, რომ რუსულ მენტალობაში მართლმადიდებლობა წარმართულ ნიშნებს ატარებს, ბნელი სარწმუნოება იმარჯვებს და აძევებს ქრისტიანულ პატიებას.

მამუკა ბუცხრიკიძე

ძე კაცისა, ძე ღვთისა

სახარებისეული გამოთქმას „ძე კაცისა“ ბიბლიის ცნობილი მკვლევარი, დავიდ ფლუსერი სამ ჯგუფად წარმოადგენს: ა) გამოთქმები, რომლებიც ეხება ძე კაცისას მოსვლას; ბ) გამოთქმები, დაკავშირებული მის წამებასა და მკვდრეთით აღდგომასთან; გ) გამოთქმები, როდესაც ძე კაცისა ანმყოში მოქმედებს, არსებობს: „მელიებს სოროები აქვთ და ცის ფრინველებს – ბუდეები, ძე კაცისას კი არა აქვს, სად მიიდრიკოს თავი“ (მათე, 8-20). ფლუსერის აზრით, აღნიშნული გამონათქვამი და აგრეთვე მესამე ჯგუფის სხვა მსგავსი შესიტყვებები გულისხმობს „კაცის ძეს“, როგორც არამეულად („ბარ ენაშ“), ისე ებრაულად („ბენ ადამ“), უბრალოდ, „ადამიანს“. ამრიგად, ამ რიგის შესიტყვებებს კავშირი არ აქვს იესოს ესქატოლოგიურ მოლოდინთან. გამოთქ-

მა „ძე კაცისა“ მეორე ჯგუფიდან უკავშირდება მაცხოვრის წამებას, სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომას.

„აბრაამის ანდერძში“ ესქატოლოგიური ძე კაცისა გაიგივებულია აბელთან, ადამის ვაჟთან. ამდენად, წოდება „ძე ადამისა“ (ებრ. „ბენ ადამ“) ამავედროულად არის ბიბლიური ესქატოლოგიური სურათ-ხატი, ანუ იგივე სახარებისეული ძე კაცისა.

ესეელთა ერთ-ერთი გრაგნილის მიხედვით, აპოკალიფსის ესქატოლოგიური ზეციური მღვდლის სახეს ქმნის აგრეთვე მელქისედეკი, იერუსალიმის მეფე და მღვდელი აბრაამის ეპოქაში.

როგორც ჩანს, იუდეური წარმოდგენებით, ძე კაცისას ესქატოლოგიური ფიგურა (ფლუსერიისეული I და II ჯგუფი), რომელიც მესიანისტური იდეის გამოხატულებაა, სწორედ ადამიანური სახითაა ნაჩვენები.

გოლგოთას მისტერია შეიძლება მორიას მთაზე განვითარებული დრამის რემინისცენციად იქნეს მიჩნეული. ორივე შემთხვევაში მსხვერპლი საყვარელი ძეა („ეს არის ძე ჩემი საყვარელი..“ (ლუკა, 9-35), იესო – ძე ღვთისა, ისაკი – სარასა და აბრაამის ერთადერთი ვაჟი.

შალვა გაბესკირია

ტოპონიმ „თბილისის“ ისტორიისა და წარმომავლობისათვის

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის თანახმად თბილისს სახელი თბილი წყლების გამო დაერქვა. ამ ვერსიასთან დაკავშირებით ჩნდება კითხვები: ა) ზედსართავი სახელებისაგან -ის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნით ტოპონიმები არ ინარმოება; ბ) იბერიის ანუ ქართლის დედაქალაქის თბილისის „თბილთან“ კავშირის შესახებ მოსაზრება ქართველურ ენობრივ სამყაროში, ისევე როგორც უცხოენოვან წყაროებში (ბერძნული, სომხური), არ ჩანს.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, თბილისისა და უფლისციხის სახელებში ბიბლიური სატომო სახელი **თუბალი** არის შე-

საცნობი. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მჭედლობის მფარველი ღვთაება ქიზიყში **თობელის**, ხოლო მესხეთში **თოფელის** სახით. ამ ვარაუდს ზურგს უნდა უმაგრებდეს ა.შირაკაცთან (VII ს.) დადასტურებული საქართველოს დედაქალაქის სახელი **ტფხიქ**, რომელშიც რედუცირებულ **ტფლ>თფლ>ტფლ>ტფხ** ფონეტიკურ ცვლილებას აქვს ადგილი. აქაც ამოსავალი თეონიმი **თაბალია**. ისიც არის საცნაური, რომ იბერიის ანუ ქართლის ძველ დედაქალაქ **მცხეთის** სახელწოდებაში უფრო მეტად ეთნონიმი **მესხი** არის საგულვებელი. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ისტორიული საქართველოს კიდევ ერთი დედაქალაქის, **ქუთაისის** სახელიც ეთნონიმური წარმომავლობისაა.

მოხსენებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მას შემდეგ, რაც დედაქალაქის თბილმა წყლებმა სახელი გაითქვა, თბილისის სახელი ბაბილონური მჭედლობის ღვთაება **თაბალის** და ზედსართავი **თბილის** შეჯვარების ანუ კონტამინაციის შედეგად არის წარმოქმნილი.

დარეჯან გარდავაძე

არის თუ არა ხალიდ ხალიფას „სიკვდილი მძიმე შრომა“ დისტოპიური რომანი?

რით არის განსაკუთრებული თანამედროვე სირიელი რომანისტი, ხალიდ ხალიფას, რომანი „სიკვდილი მძიმე შრომა“? რატომ არის იგი დისტოპიური რომანი, მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ აღწერილი საზოგადოება არ არის არც წარმოსახვითი, მომავლის საზოგადოება და არც სივრცობრივად არის ის მკითხველისგან დაშორებული?! ის აქვეა, მთლად ჩვე ნგვერდით, ჩვენივე დროში, სადაც ისევე მარტივად, ერთი ფეხის გადაბიჯებით შეიძლება მოხვდე, როგორც რომანის გმირები ხვდებიან ისლამურ სახელმწიფოში, რომანის ავტორი კი დისტოპიისათვის აუცილებელ გაოცებისა და შიშის ეფექტს სწორედ რეალობის წვრილმანებად დეტალური აღწერით აღწევს.

დისტოპიური ლიტერატურის თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ეს ლიტერატურა სრულყოფილი მმართველობის მოდელის

რეალობაში განუხორციელებლობის შედეგია. ის უტოპიის ანტი-პოედია – თუ უტოპია სრულყოფილებას ქადაგებს, დისტოპია გვარწმუნებს, რომ გულუბრყვილო რწმენა და მისწრაფება სრულყოფილებისკენ ხშირად სავალალო შედეგებით სრულდება. დისტოპიური რომანის უმთავრეს განმასხვავებელ ნიშნად მომავლის საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური განვითარებისადმი პესიმისტური ხედვა ითვლება, აქ სოციალურ-პოლიტიკური რეალობები ყველაზე ცუდი სცენარებით ვითარდება და მკითხველზე ზემოქმედებას ახდენს, როგორც გაფრთხილებები აუცილებელი სოციალური ცვლილებების გასატარებლად ან სიფრთხილის ზომების მისაღებად ძირითადად, ტოტალიტარული რეჟიმებისა და ავტორიტარული ხელისუფლების წინააღმდეგ.

ხალიდ ხალიფას რომანიც ერთი ოჯახის ისტორიის ფონზე შესანიშნავად ხატავს, არაბული ერთობისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის ატმოსფერომ და საერთო არაბული მიზნების განხორციელების უტოპიურმა იდეებმა როგორ მოიტანა მძიმე იმედგაცრუება, გულგატეხილობა და ნიჰილიზმის ქაობი, რაც თაობათა სულიერი კრიზისისა და ტრავმული სინდრომის მიზეზი გახდა.

დისტოპიური ლიტერატურისთვის დამახასიათებელი გოცებისა და შიშის ეფექტი, მე ვიტყვოდი, ამ რომანში ორმაგია – მკითხველისთვის გამოგნებელია ის რეალობა, რომელშიც რომანის გმირები ცხოვრობენ, ის საყოველთაო სიძულვილისა და შიშის ატმოსფერო, განუკითხავი ძალადობა, რაც სიკვდილს სასურველს და სანატრელს ხდის; რომანის გმირებისთვის კი, რომელთათვისაც ეს ატმოსფერო უკვე ჩვეული გამხდარა, გამოგნებელი და შემადრწუნებელია ისლამური სახელმწიფოს რეალობა და იქ ნანახი დაუჭერებელი ფაქტები – გვამის დაპატიმრებით დანყებული, ემირის კარის ცხოვრებითა და შუასაუკუნეობრივი რელიგიური ფანატიზმით დამთავრებული...

2019 წელს ამერიკული National Book Award ლიტერატურული ჯილდოს გამარჯვებული თარგმნილი ლიტერატურის ნომინაციაში, რომანის „სიკვდილი მძიმე შრომა“ ავტორი, ხალიდ ხალიფა საკმაოდ წარმატებული თანამედროვე სირიელი რომანისტი, რომელსაც უკვე არაერთი ლიტერატურული ჯილდო აქვს მიღებული.

რომანი მრავალმხრივ საინტერესოა და უდავოდ იმსახურებს ასეთ დაფასებას. მოხსენებაში ვეცდებით, დისტოპიური

ლიტერატურის თეორიების ფონზე წარმოვადგინოთ ამ რომანის შედარებითი ტიპოლოგიური ანალიზი და პარალელები გავავლოთ ამ ჟანრის ზოგიერთ ცნობილ ნიმუშთან, ასევე სირიელი ნოველისტის, ზაქარია თამირის შემოქმედებასთან, სადაც ასევე შეიმჩნევა დისტოპიური მოტივები.

ნანა გაფრინდაშვილი

იმპერიული მითები, როგორც სოციალური კონსტრუქცია და ქართული საბჭოთა ლიტერატურა

იმპერიების მართვა საკმაოდ რთული და მრავალპლანიანი პროცესია, რომელშიც უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს იდეოლოგიური მანქანის „გამართულ“ მუშაობას. ისეთი ადმინისტრაციული ერთეულების მართვა, რომლებიც სხვადასხვა ეროვნების, ენისა და კულტურის მატარებელი ადამიანებისაგან შედგება, ბევრად უფრო ადვილი ხდება, როცა ამ საქმეში ერთვება ფიქციის ენა და საერთო მითები, რომელთაც რეალობასთან შეიძლება საერთოდ არანაირი კავშირი არ ჰქონდეთ და მხოლოდ მმართველი ელიტის წარმოსახვის ნაყოფი იყოს, რომლის ტირაჟირებასაც სახელმწიფოს მმართველი ფენა მონდომებით შეეცდება ადამიანების ფართო წრეებში. ასეთი მითების გავრცელება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა საშუალებით ხდება, რაც დიდად არის დამოკიდებული ეპოქაზე, მის თავისებურებებზე, განათლებისა და კულტურის დონეზე, სამეცნიერო პროგრესსა და ტექნოლოგიების განვითარებაზე და სხვ. ამ მითებს რეალობასთან კავშირი ნაკლებად აქვს და ამიტომაც ენოდებათ „სოციალური კონსტრუქცია“ თუ „წარმოსახვითი რეალობა“. იმპერიების იდეოლოგიები ცდილობენ, რაც შეიძლება უფრო მეტ ადამიანს დააჯერონ, რომ ეს წარმოსახვითი რეალობა და წარმოსახვითი კონსტრუქცია კი არა, სარწმუნო და ჭეშმარიტი ამბავია, რომელიც აქვე რეალურად ხდება, ახლა ჩვენს გვერდით.

ისტორიას ახსოვს სრულიად განსხვავებული მახასიათებლების მქონე იმპერიები: დიდი და პატარა, სხვა ერების დაპყრო-

ბითი ომებით დამმონებული თუ ნებაყოფილობით შემომერთებელი, ავტოკრატიული თუ შედარებით დემოკრატიული, თუმცა ნებისმიერი იმპერიის მიზანი იყო, არის და იქნება, პირველ რიგში, რაც შეიძლება მეტი ერი დაიმონოს და დაიმორჩილოს და შემდეგ მოქნილი კულტურულ-პოლიტიკურ-ეკონომიური პოლიტიკის წყალობით მათი „მონელება“ და ასიმილაცია შეძლოს – მრავალი პატარა კულტურის შერწყმა – ასიმილაციით ერთი დიდი სტანდარტიზებული კულტურა მიიღოს.

ყველა იმპერიას თავისი არგუმენტი და კონკრეტული მიზანი ჰქონდა. რომაელებს, მაგალითად, სჯეროდათ, რომ ბარბაროსებში განათლება, ცოდნა და ცივილიზაცია შეჰქონდათ, საბჭოური იმპერია კაპიტალიზმს ებრძოდა და უტოპიურ კომუნიზმს აშენებდა, სადაც ყველა მდიდარი და ბედნიერი იქნებოდა და სხვ.

საბჭოთა მითების ტირაჟირება, საბჭოთა პოლიტიკური დოქტრინის გავრცელება განსაკუთრებით ინტენსიურად ხდებოდა საბჭოთა ლიტერატურის იმ ნაწარმოებების საშუალებით, რომლებიც სოციალისტური რეალიზმის მეთოდით იქმნებოდა. საბჭოთა მითებიდან ლიტერატურაში, მათ შორის ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში, წარმატებით აისახა მითები დიდი ბელადის, დიადი საბჭოთა ოჯახის, კომუნიზმის, უფროსი ძმისა და სხვ. შესახებ.

ნანა გელაშვილი

ებრაელთა ჩინეთში დასახლების ისტორიიდან

ებრაელი ხალხის კონტაქტები ჩინეთთან დაიწყო დიდი აბრეშუმის გზის ამოქმედების შემდგომ (ძვ. წ. მე-2 საუკუნე), რომელმაც ერთმანეთს შეახვედრა დასავლური სამყარო და აზიის რეგიონი პირველი ტრანსკონტინენტური სავაჭრო მაგისტრალის მეშვეობით. წარმოდგენილი ნაშრომი ეძღვნება ებრაელების ჩინეთში ჩასვლისა და მათი იქ დასახლების საკითხებს. აღნიშნული ამბების შესახებ ინფორმაცია დაცულია მე-9-მე-14 საუკუნეების არაბულ, სპარსულ, ჩინურ და ევროპულ წერილობით წყაროებში, რომელთა თანახმად, ებრაელთა პირველი ტალღა ჩინეთში ირანიდან და ინდოეთიდან მოხვდა აბრეშუმის გზის მეშვეობით.

თუმცა, ამასთან დაკავშირებით ისინი ერთმანეთისგან განსხვავებულ თარიღებს ასახელებენ. წყაროები ცალსახად აფიქსირებენ ებრაელთა აქტიურ და წარმატებულ საქმიანობას სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით ვაჭრობა-ხელოსნობაში, მათი თემებისა და კოლონიების არსებობას ჩინეთის სხვადასხვა ქალაქში.

ებრაელების დიდი ჯგუფების კომპაქტურად დასახლება ჩინეთში დაიწყო თანგის დინასტიის მმართველობის ხანაში (618-907), კერძოდ, მე-8 საუკუნეში. ამ მხრივ გამორჩეული იყო ქ. ქაიფენი, სადაც მათი პირველი თემი შეიქმნა და პირველი სინაგოგა აიგო. ხაზგასასმელია, რომ გარკვეული ხნის შემდეგ ებრაელებმა, ქვეყნისათვის ერთგული სამსახურის წყალობით, ჩინეთის ხელისუფლებისგან ფართო სპექტრის უფლებები მიიღეს. ამასთანავე, მათ შეუზღუდავად შეეძლოთ აღესრულებინათ თავიანთი ყველა რელიგიური თუ ყოფითი ადათ-წესები. ფაქტობრივად, „ჩინელ“ ებრაელთა უფლებები თითქმის გათანაბრებულ იქნა ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებთან ანუ ისინი უკვე აღჭურვილნი იყვნენ კულტურული ავტონომიის ყველა კომპონენტით. იმავდროულად, ნებისთუ უნებლიეთ, თანდათან დაიწყო ებრაელთა გარკვეული დოზით ასიმილაცია ჩინურ კულტურასთან, კონფუციანურ იდეოლოგიასთან და ზოგადად, შუა საუკუნეების ჩინურ რეალობასთან.

ლალი გულედანი

ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელების მეტყველების ძირითადი მახასიათებლები¹

ისრაელის ამჟამინდელი მულტილინგვისტური და პოლიკულტურული სივრცე ლინგვისტური, სოციალური და კულტურული კონტექსტების თვალსაზრისით არის ხანგრძლივი და სრულიად უნიკალური ისტორიული ცვლილებების შედეგი. მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ლინგვისტიკაში ენა სოციალურ მოვ-

¹ მოხსენება მომზადდა სამეცნიერო პროექტის ფარგლებში: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით [გრანტის ნომერი: I-2016-32] „ქართველ ებრაელთა მეტყველება ისრაელში“.

ლენად განიხილება. სამეტყველო ჩვევების მრავალფეროვნება გარკვეულწილად უკავშირდება სისტემურ სოციალურ განსხვავებებს. ენის განვითარებაზე გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, როგორც არის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ტერიტორიული ანუ გეოგრაფიული სხვაობები, ასაკობრივი ჯგუფები, გენდერული, პროფესიული, რელიგიური და ა.შ. ქართველ ებრაელთა მეტყველებასთან მიმართებით ეს ფაქტორები მოხსენებაში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი. განხილულია ასევე ლინგვისტურ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხები.

ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში სოციალური სხვაობა კარგად იკვეთება. პროექტის ფარგლებში ჩანერილი მათი მეტყველების ამსახველი ტექსტები სხვადასხვა სოციალური ფენისთვის დამახასიათებელი თავისებურებების მიხედვით მკვეთრად დიფერენცირებულია. ასევე, შეინიშნება ის ფაქტიც, რომ რესპოდენტთა მეტყველება განსხვავებულია ლოკაციის მიხედვით: სხვადასხვა ქალაქის წარმომადგენელი ებრაელები ერთმანეთისგან განსხვავებული თავისებურებებით მეტყველებენ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ქალაქის ზოგადი დემოგრაფიული, ეთნიკურ-რელიგიური სურათი გავლენას ახდენს იქ მცხოვრები ქართველი ებრაელების მეტყველებაზე.

ჩანერილი ტექსტების (ინტერვიუების) მრავალმხრივი კვლევა კარგ საფუძველს იძლევა ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელების სამეტყველო ენის ფუნქციონალური კლასიფიკაციისთვის, რაც, თავის მხრივ, შესაძლებელს ხდის განისაზღვროს ენის რეალური მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები.

ნათია დუნდუა

ებრაიზმები ტობის წიგნის ქართულ თარგმანში

ტობის წიგნში, ისევე როგორც სხვა ბიბლიურ ტექსტებში, ვხვდებით ებრაიზმებს. ამის მაგალითია მრავლად დადასტურებული დუბლეტური ფორმები (მაგ., 1.3 მოწყადებანი და ქვედის საქმენი, 1.21 წაჩვიდგოდეს იგინი და წაჩვიდეს, 5.10 მდაბადი ვაჩ და უძღუი, 8.4 ვიდოცოთ და ვევედხნეთ, 9.3.4 დავაყოვნოთ და დავაკდოთ).

გარდა ამისა, გობის წიგნის ქართულ თარგმანში სიტყვასიტყვითაა გადმოტანილი ებრაული კონსტრუქციის იდიომები (მაგ., სუ-ღი, გუღი, პიხი, თუაღი, ჯეღი-თ ნაწარმოები იდიომები). ასევე, თარგმანში გვხვდება ებრაული ლიტურგიკული ტერმინოლოგია (მაგ., ადეღუა, ამენ), რომლებიც დამკვიდრებულია ქართულში.

აღნიშნული ებრაიზმები გობის წიგნის ქართულ თარგმანში ბერძულის გზით არის შემოსული. მოხსენებაში დაწვრილებით იქნება განხილული თითოეული მათგანი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

ნინო ეჯიბაძე

პარალელიზმი და კალამბური არაბულში

პარალელიზმი, როგორც მხატვრული თვითგამოხატვის საშუალება, არაბულში ძალიან პოპულარულია და არა მხოლოდ გამოიყენება მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ, ზოგადად, არაბული მჭევრმეტყველების ერთ-ერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს.

მოვლენა, რომელსაც პარალელიზმი შეიძლება ეწოდოს, არაბულში ორ ჯგუფად უნდა განვიხილოთ:

1) შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის გვერდით, ერთ ფრაზაში, გამოყენებულია ფორმით განსხვავებული, მაგრამ მნიშვნელობით ძალიან მიახლოებული, პრაქტიკულად იდენტური, ლექსემები, რაც გადმოსაცემი აზრის ჰიპერბოლიზაციას ემსახურება;

2) შემთხვევები, როდესაც ერთმანეთის გვერდით, ერთ ფრაზაში, გამოყენებულია სხვადასხვა მნიშვნელობის, მაგრამ ფორმალური თვალსაზრისით რაიმე პრინციპით გაერთიანებული ლექსემები (ხან კი სინტაგმები), რაც ასევე შეიძლება ემსახურებოდეს აზრის ხაზგასმას, ჰიპერბოლიზებას, ან უბრალოდ, კარგად აგებული ფრაზის ატრიბუტად განიხილებოდეს. ამ, მეორე, ქვეჯგუფში, თავის მხრივ, ასევე ორი სხვადასხვა ტიპის შემთხვევები ერთიანდება: ა) სადაც პარალელიზმი აგებულია ერთი და იმავე გრამატიკული მოდელით წარმოდგენილ სიტყვებზე (მასდა-

რი-მასდარი, მიმღეობა-მიმღეობა და მისთ.), და ბ) სადაც სიტყვები შერჩეულია ისე, რომ ჟღერადობრივადაც კონსონანსშია ერთმანეთთან; ამ შემთხვევაში, პარალელიზმი პრაქტიკულად მინიმალური წყვილების მონაცვლეობაზე აიგება.

აქვე უნდა განვიხილოთ კალამბური თავისი ორი ვარიაციით: შემთხვევები აგებული ა) ერთი და იმავე ბგერითი შემადგენლობის მქონე სიტყვებზე და ბ) ომონიმიის პრინციპზე.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება აქ ჩამოთვლილი მხატვრული ხერხების საილუსტრაციო მასალა განხილული არაბული ენის განვითარების ტენდენციების გამოვლენის კონტექსტში.

ლალი ვაშაყმაძე

ებრაიზმები ივდითის წიგნის ძველ ქართულ ვერსიებში

ახალგაზრდა ისრაელელი ქალის, ივდითის თავგადასავალი, ისტორია, თუ როგორ იხსნა მან ებრაელი ხალხი ასურასტანელთა ჯარისაგან, ბიბლიის ერთ-ერთი წიგნია. თუმცა მის, როგორც ბიბლიის წიგნის ავტორიტეტს ყველა არ აღიარებს: იგი არ შედის ებრაულ კანონში, ხოლო პროტესტანტი და კათოლიკე ქრისტიანები აპოკრიფულ თუ დევტეროკანონიკურ წიგნთა ნუსხას მიაკუთვნებენ. იმის გამო, რომ ივდითის წიგნის ებრაულ ან არამეულ დედანს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ჩვენამდე არ მოუღწევია, მეცნიერები დღემდე დავობენ წიგნის ორიგინალი ენის შესახებ. ნაწილი თვლის, რომ იგი ებრაულად შეიქმნა, ნაწილს ორიგინალ ენად ბერძნული მიაჩნია. თითოეული მათგნი საკუთარი აზრის დასასაბუთებლად ჩვენამდე მოღწეულ ბერძნულ ვერსიებში ებრაული ენის კვალის არსებობასა თუ არარსებობაზე აპელირებს.

მოხსენებაში განხილული იქნება ივდითის ბერძნული წიგნის სხვადასხვა ტიპის ებრაიზმების გადმოტანა ქართულ თარგმანებში.

დარეჯან თვალთვადე

„ვითარ იგი ბერძულად არს“ - რამდენიმე საკითხი სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ისტორიიდან

სახარების ძველი ქართული თარგმანის ტექსტის თარგმნარედაქტირების ხანგრძლივ პროცესში (V-XI სს.) ორი ძირითადი პერიოდი გამოიყოფა: I - წინათონური და II - ათონური. წინათონურ პერიოდში (X საუკუნის ბოლომდე) უკვე არსებობდა ქართული ოთხთავის ორი უძველესი რედაქცია (ადიშური და ოპიზური//პროტოვულგატური) და მათი სინთეზის შედეგად მიღებული ნარევი ტექსტიც. X-XI საუკუნეების მიჯნიდან ინტენსიურად იწყება სახარების ბერძნულ ორიგინალთან დაახლოების პროცესი, რაც XI საუკუნის შუა წლებში გიორგი ათონელისეული ტექსტის (ათონური რედაქციის) ჩამოყალიბებით დასრულდა. სახარება-ოთხთავის ტექსტის ბერძნულის მიხედვით შემდგომი გადამუშავება, რომელიც ელინოფილ მთარგმნელთა მოღვაწეობას უკავშირდება (XII-XIII სს.), მხოლოდ ეგზეგეტიკური ხასითის თხზულებებში გვხვდება და სახარება-ოთხთავის ახალი რედაქციის შექმნას არ ისახავდა მიზნად.

ქართული მთარგმნელობითი საქმიანობის პირველ ეტაპზე ბიბლიურ წიგნთა დინამიკური მეთოდით შექმნილ თარგმანებს ორიგინალის ტექსტისადმი შედარებით თავისუფალი დამოკიდებულება ახასიათებთ, მაგრამ X საუკუნის ბოლოდან ზოგადად ქართული კულტურის და, კერძოდ, ბიბლიურ წიგნთა თარგმნის ისტორიაშიც ახალი ეტაპი იწყება. ამ პერიოდის მთარგმნელთა სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენს, ერთი მხრივ, ქართული სახელმწიფოს მიერ რელიგიურ-პოლიტიკური ორიენტაციის ბიზანტიისაკენ აღება, და მეორე მხრივ, ის მულტილინგვური სოციოკულტურული გარემო, რომელშიც ქართველ მნიგნობრებს უხდებათ მოღვაწეობა ქვეყნის გარეთ არსებულ სამონასტრო ცენტრებში, რაც ქართველებს ადრეული ქართული თარგმანების კრიტიკული თვალთ შეფასებისკენ უბიძგებს. მალევე იწყება არსებული თარგმანის ბერძნული ტექ-

სტების მიხედვით გასწორების პროცესი, რისი შედეგიც ასახულია სახარების არსებული რედაქციების ბერძნულთან შედარების საფუძველზე შექმნილი ე.წ. გარდამავალი ჯგუფის ხელნაწერებში, რომლებიც, ძირითადად, სწორედ X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის შუა წლებამდეა გადაწერილი. უკვე XI საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა ქართველ მთარგმნელთა საქმიანობას განსაზღვრავს ელინოფილური კონცეფცია - „ყოველივე ბერძნულსაგან და ვითარ იგი ბერძულად არს“, იწყება „ბერძნულსა წესსა მიყვანება“ არა მხოლოდ საეკლესიო ლიტურგიკული პრაქტიკისა, არამედ „გაელიწურება“ აქამდე არსებული ქრისტიანული ლიტურატურის უმნიშვნელოვანესი ძეგლების ქართული თარგმანებისა. სწორედ ამ კონტექსტში უნდა წარმოშობილიყო ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლის სახარება-ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ტექსტის „ბერძნულსა წესსა ზედა გამართვის“ საჭიროებაც. ის შედარებულ-შეჯერებული უნდა ყოფილიყო სახარების ე.წ. ბიზანტიურ ტექსტთან, რომელსაც იმხანად ბერძნული ეკლესია „უეჭველად და სანდოდ“ მიიჩნევდა. ეს საპასუხისმგებლო საქმე თავს იღო გიორგი ათონელმა, რომელმაც სახარება-ოთხთავის არსებული ძველი ქართული თარგმანის ბერძნულის მიხედვით შესწორების შედეგად ქართული ოთხთავის ბოლო, ათონურად წოდებული რედაქცია (ვულგატა) ჩამოაყალიბა (უძველესი თარიღიანი ნუსხა 1060 წლისაა).

გიორგისეული ტექსტის შემცველი ხელნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს მის მცდელობას გადმოიღოს ბერძნული დედნის ტექსტი სწორედ ისე, როგორც ბერძნულშია და ქართული ხელნაწერი სახარება-ოთხთავი სტრუქტურულადაც მაქსიმალურად დაუხლოვოს ბერძნულს. გიორგი, ფაქტობრივად, არა მხოლოდ სახარება-ოთხთავის ტექსტის ბერძნულის მიხედვით რედაქტირებას ახდენს, არამედ ქმნის ბიზანტიური ხელნაწერი სახარება-ოთხთავის ქართულ ანალოგს, რომელშიც ყველაფერი ისეა „ვითარ იგი ბერძულად არს“.

მარინე ივანიშილი

მცენარეთა ებრაული სახელები ქართულ ოთხთავში

ოთხთავის მცენარეთა სამყარო არ გამოირჩევა ფერადოვნებით (სულ 25 ფუძეა), თუმცა ყოველი მცენარის სახელთან, რაც საზოგადოდ ნიშანდობლივია ბიბლიური ტექსტებისთვის, უაღრესად საინტერესო, ზუსტად განსაზღვრული ფორმალურ-სემანტიკური მოდელებია დაკავშირებული. საერთოდ, სიმბოლურ-საკრალური სახის განმარტებები ახალი აღთქმის იგავური მეტყველების ქვაკუთხედს წარმოადგენს. ამ მხრივ, ოთხთავის ქართული თარგმანის რედაქციებში წარმოდგენილი მცენარეთა ლექსიკა განსაკუთრებულ ელფერს ჰმატებს ტექსტს.

ქართულ სახარებაში დადასტურებულ მცენარეთა სახელების ნახევარზე მეტი ქართული (ქართველური) წარმოშობისაა. ნასესხებ მცენარეთა სახელების უმრავლესობა საქართველოსთვის არაენდემური სახეობაა. აქედან, ებრაული წარმოშობისაა: *ადო / ჰადო, მანანა, ნახი და შიოშანი*. ამ ჩამონათვალიდან მოხსენებაში განვიხილავთ *შიოშან*- ფუძეს.

ზურაბ კიკნაძე

აბელის დაბრუნება

აბელ-კაენის ფუძემდებლური ეპიზოდის (დაბ. 4:1-16) მთავარი თემის – მკვლევლობის, როგორც ადამის ცოდვის პირველი რეციდივის, კერძოდ, მისი, როგორც მწყემსისა და მინათმოქმედის ერთიანი ბუნების რღვევის, – ფონზე ერთმანეთზე დაშრევებით ისახება დამატებითი თემები (რიტუალური, სამეურნეო, ეთნიურ-კულტურული, სამართლებრივი, ეკსისტენციალური...), რომლებიც ადამიანური ყოფიერების ბევრ ასპექტში მსჭვალავენ ბიბლიის მთელს ტექსტს და ამდენად ეს ეპიზოდი ბიბლიის ერთიან კონტექსტში უნდა იქნას განხილულ-გააზრებული.

ერთი ასეთი თემაა ფუნდამენტური დაპირისპირება მწყემსურ და სამინათმოქმედო კულტურებს შორის, რომელიც ტრაგი-

კულად დამთავრდა, განსხვავებით ანალოგიური შუამდინარული მითოსისა, სადაც ინანას ხელის მთხოვნელ ორ რაყიფს, მწყემსსა და მინათმოქმედს შორის, ქალღმერთი მწყემსს ირჩევს, მეტოქეობა ამ ორი კულტურის თანხმობით მთავრდება. აბელ-კაენის, როგორც არქეტიპთა გამოხატულება პოვა შაატნების კანონში, რომლის თანახმადაც იკრძალება მატყლისა და სელის ქსოვილის ერთად ხმარება (მატყლსა და სელს ვიღებთ მწყემსობისა და მინათმოქმედების სიმბოლოებად).

როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ღვთიური მოწოდება ალთქმულ მინაზე დამკვიდრებისაკენ შეფარულ, მაგრამ შინაგანად მძაფრ წინააღმდეგობაშია აბელური ცხოვრების თანდაყოლილ ხასიათთან, რასაც დასაბამითვე უფლის დასტური ჰქონდა, კაენური ცხოვრების წესისაგან განსხვავებით, რომელიც იმთავითვე არ იქნა მოწონებული.

რაც უფალმა არ მოიწონა, განხორციელდა ისრაელიანთა მკვიდრი ცხოვრებით ქანაანში, პატრიარქთა (აბრაამის, ისაკის, იაკობის) მსხემობის (მაგურ) საპირისპიროდ, და გრძელდება კაენური ინდუსტრიული ცივილიზაციის, კერძოდ, ურბანიზაციის სახით (დაბ. 4:16-24).

ისმის კითხვა: არის თუ არა მსხემობა-მკვიდრობის მონაცვლებით მიმდინარე ბიბლიურ ისტორიაში ნანინასწარმეტყველები ან მინიშნებული აბელური კულტურის შემობრუნება, როგორც რევანში კაენური ცივილიზაციის მიმართ?

ანა კოპალიანი

იდეოლოგია და თარგმანის მეთოდოლოგია - ამერიკელი ქალი პოეტების საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული თარგმანების მიხედვით

აღიარებულია, რომ იდეოლოგია ზეგავლენას ახდენს ლიტერატურის ყველა სეგმენტზე. ამ ზოგადი კანონზომიერებიდან გამონაკლისს არც თარგმანი წარმოადგენს, მეტიც, თარგმანი და

იდეოლოგია ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდიდან მოდიან მხარდამხარ, რადგან მთარგმნელი არა მხოლოდ გვაცნობს უცხო ქვეყნების ლიტერატურას, არამედ ირჩევს იმ რაკურსსაც, რომლითაც მიმღები კულტურა ამ ლიტერატურას დაინახავს.

იდეოლოგია ხშირად განაპირობებს იმას, თუ თარგმანის რომელი მეთოდი იქნება დომინანტური კონკრეტულ ეპოქაში. სწორედ ამიტომ საბჭოთა პერიოდის საქართველოში უპირატესობა ენიჭებოდა დომესტიკაციის (ანუ „გაშინაურების“), ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდში – ფორინიზაციის (ანუ უცხო ელფერის შენარჩუნების) მეთოდებს. ამ სტრატეგიათა გამოყენებით ითარგმნებოდა პოეზიაც, მათ შორის კი, ამერიკელ ქალ პოეტთა შემოქმედებაც: სილვია პლათის ლექსების ქართული თარგმანების მაგალითზე მიმოვიხილავთ, თუ როგორ ცვლის სოციოპოლიტიკური და სოციოკულტურული დირექტივა თარგმანის მეთოდოლოგიას. ამისთვის ვიყენებთ ს. პლათის ლექსებს, რომლებიც შეტანილია გ. ნიშნიანიძის მიერ შედგენილ 1985 წლის გამოცემაში; ხოლო პოსტსაბჭოთა პერიოდის თარგმანების მეთოდოლოგიას მიმოვიხილავთ ერთი ლექსის – სილვია პლათის „ტიტების“ – სამი ქართული თარგმანის შედარების (ლ. სამნიაშვილი, 1999; შ.იათაშვილი, 2004, გ. გოკიელი, 2015) მაგალითზე. ვნახავთ, თუ პირველ შემთხვევაში როგორ „აკეთილშობილებს“ და „აკეთილხმოვანებს“ მთარგმნელი; ხოლო მეორე შემთხვევაში კი მთარგმნელები ცდილობენ მაქსიმალურად ავთენტური სახით მიაწოდონ პლათის შემოქმედება ქართველ მკითხველს.

თუმცა სოციოკულტურული ესთეტიკის შეცვლა არცთუ სწრაფი და უმტკივეულო პროცესია, განსაკუთრებით როცა დროს მოქვს ლიტერატურაში ისეთი კონტროვერსიული სიახლის შემოტანა, როგორიცაა ეროტიკული ანდა სულაც ობსცენური პასაჟები, სკაბრები, „მკრეხელობა“, არანორმირებული ლექსიკა და ა.შ. ამ საკითხის განსახილველად განვიხილეთ ამერიკელი ქალი პოეტის, ენ სექსტონის, ეროტიკული და „მკრეხელური“ შინაარსის ლექსების პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული თარგმანები (მთარგმნელები - ა. კოპალიანი და ხ. გოგია) და ვიმსჯელოთ მთარგმნელების მიერ გამოყენებული ევფემისტური მიდგომის შესახებ, რომელიც დომესტიკაციის მეთოდის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

თამარ მაგრაქველიძე

ბიბლია - ლიტერატურული ნაწარმოების ეტალონი იაკობ ხუცესისთვის

იმის შესახებ, თუ როგორ აგებს თხრობას იაკობ ხუცესი ბიბლიური ციტაციითა და ბიბლიური რემინისცენციებით ბევრი რამ თქმულა. მე ამ საკითხს არ შევეხები. ჩემი მიზანია, თხზულების „წამებად წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“ ენა შევუდარო ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის „რუთის“ ენას და კონკრეტული მაგალითების მოხმობით მოხსენებაში ვაჩვენო, როგორ ბაძავს იაკობ ხუცესი ბიბლიის სტილს შეგნებულად. როგორ შემოაქვს ორიგინალურ მწერლობაში ბიბლიის ებრაულისათვის დამახასიათებელი ლაკონური ფრაზები, პარატაქსი, იდიომატიკა, თხრობის დამწყები გამოთქმები, შორისდებულები, ეტიმოლოგიური ფიგურები, პლეონაზმები. როგორ ახდენს ტექსტის რიტმიზირებას პარალელიზმებით, ანტითეზებით, ჰომოიოტელევეტონებით, ალიტერაციებით.

მარინა მეფარიშვილი

რედუპლიცირებული ზმნური ძირები სხვადასხვა სემიტურ ენებში

მოხსენებაში წარმოდგენილია სხვადასხვა სემიტურ ენებში დადასტურებული იმგვარი ოთხთანხმოვნითანი ზმნური ძირების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი, რომლებიც ორთანხმოვნითანი ძირების რედუპლიკაციის გზითაა ნაწარმოები. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ მრავალთანხმოვნითანი ძირების წარმომავლობისა და მათი სტრუქტურულ-სემანტიკური დიფერენციაციის საკითხი სემიტოლოგიაში საბოლოოდ გადაჭრილ პრობლემათა რიგს არ განეკუთვნება. იმავდროულად სემიტური მორფოლოგიური სისტემისათვის სამთანხმოვნითანობის დომინაცია ზმნურ სტრუქტურაში საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. რაც შეეხე-

ბა ოთხთანხმოვნიან ზმნურ ძირებს, ისინი სხვადასხვა სემიტურ ენებში საერთო სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშნებს ავლენენ, რაც ამ ენებში არსებულ საერთო ტენდენციებზე უნდა მიუთითებდეს; განსხვავება მხოლოდ ძირის გაფართოებისა და სემანტიკური სახესხვაობის გადმოსაცემად გამოყენებულ ხერხთა რაოდენობრივ მახასიათებლებში უნდა ვეძებოთ.

ოთხთანხმოვნიანი ძირები ორი და სამთანხმოვნიანი ძირების სხვადასხვა ხერხით გაფართოების შედეგადაა ფორმირებული. ეს ხერხებია; ორთანხმოვნიანი ძირების რედუპლიკაცია, სამთანხმოვნიანი ძირების განვრცობა მესამე ძირეულის გაორმაგების გზით, ძირეულ სტრუქტურაში მეორე და მესამე რადიკალს შორის სონორი თანხმოვნის ჩართვით, ოთხთანხმოვნიანი ნასესხები სახელების დენომინატიზაცია და სხვ. ამ ხერხთაგან ყველაზე პროდუქტიულია სწორედ ძირის რედუპლიკაცია, რომელიც წინამდებარე მოხსენებაშია დანხილული.

ოთხთანხმოვნიანი ზმნური ძირების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზის შედეგად რედუპლიცირებულ ზმნურ ძირებზე შესაძლებელია ითქვას შემდეგი :

ა. მათი ფორმირებისათვის გამოყენებულია ენობრივი ტიპოლოგიისათვის კარგად ნაცნობი ხერხი; ძირის განმეორება, სემიტური ენებისათვის ესაა ორი ძირეული თანხმოვანი ფონემის გაორმაგება ანუ ორთანხმოვნიანი ზმნური ძირების რედუპლიკაცია ($xy > xyxy$). ნარმოების აღნიშნული მოდელი ძალზე პროდუქტიულია უკლებლივ ყველა სემიტურ ენაში.

ბ. რედუპლიცირებული ზმნური ძირები საკმაოდ მრავალრიცხოვანია და მყარადაა დამკვიდრებული სემიტურ მორფოლოგიურ სტრუქტურაში.

გ. რაც შეეხება რედუპლიცირებული ძირების შინაარსობრივ მახასიათებლებს, აქ გამოიკვეთება ორი ჯგუფი, კერძოდ:

1. ორთანხმოვნიანი ძირების რედუპლიკაციით ნაწარმოები ამგვარი ზმნური ძირების დიდი ნაწილი ინტენსიური მოქმედების სემანტიკას გადმოსცემენ;

2. ანალოგიური გზით ანუ ძირის რედუპლიკაციით ნაწარმოები მეორე, არცთუ მცირერიცხოვანი ნაწილი კი ხმაბაძვითი, ონომატოპოეტური ზმნებია.

მარიამ მირესაშვილი

ბიბლიური თქმულებებისა და მითების ტრანსფორმირება მე-20 საუკუნის ლიტერატურულ დისკურსში

ბიბლიურ თქმულებებსა და მითებს ყოველ დროსა და ეპოქაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა თეორიული და ფილოსოფიური აზროვნების სფეროში. ცნობილია, რომ ყოველი ლიტერატურული ეპოქა მითოსური და ბიბლიური სამყაროსადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენდა. მაგ., ანტიკურ პერიოდში მითოსი განიხილებოდა ლიტერატურის საფუძვლად, რადგან მხატვრული აზროვნება მითოსის ფორმით ვლინდებოდა; აღორძინების ეპოქაში მითი განიხილებოდა მორალური ქეშმარიტების გრძნობადი ასახვის ფორმად, რადგან აღნიშნულ ეპოქაში აქცენტირება გადატანილი იყო მის ალეგორიულობაზე, რომლის მიღმა ადვილად იკითხებოდა სათქმელის ფილოსოფიური და ეთიკური საზრისი; რომანტიზმის ეპოქაში მითი აღიარებულ იქნა პარადიგმად, პირველად „საშენ“ მასალად ხელოვნების ნებისმიერი დარგისთვის.

მითების ლიტერატურულმა ტრანსფორმირებამ (როგორც ანტიკური, ასევე ბიბლიური) განსაკუთრებით თვალნათლივ იჩინა თავი მე-20 საუკუნის რომანში (განსხვავებით მე-19 საუკუნისგან, როდესაც მითებს მხოლოდ დრამასა და პოემებში ვხვდებით). აღნიშნულ ტენდენციას უდავოდ შეუწყო ხელი რომანის კლასიკური ფორმის გარდაქმნამ; კერძოდ, საუკუნის დასაწყისში რომანის ჟანრის მე-19 საუკუნის კლასიკული რეალიზმის პრინციპებისგან ჩამოშორების გზით. თუმცა, ეს როდი გულისხმობს, რომ მითოლოგიზმი უპირისპირდება რეალიზმს; მე-20 საუკუნის რომანში იგი, ერთგვარად, ავსებს მას, გვთავაზობს დამატებით საშუალებებს ნიველირების პროცესის, გაუცხოების მახინჯი ფორმების, სულიერი კულტურის კრიზისული მდგომარეობის, ადამიანთა ყოფის პროზაულობის გამოსახატავად. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის მითოლოგიზირებული ლიტერატურის პათოსი მიმართულია არა იმდენად თანამედროვე სამყაროს მახინჯი მოვლენების წარმოსა-

ჩენად, რამდენადაც უცვლელი, მარადიული (პოზიტიური თუ ნეგატიური) საწყისების განსასაზღვრავად, რომლებიც ყოველთვის თან სდევნენ ემპირიულ ყოფასაც და ისტორიულ გარდატეხებსაც.

როდესაც განვიხილავთ პრობლემას *მითი-დიტეხაგუხა*, უდავოდ გასათვალისწინებელია ბიბლიის განსაკუთრებული მნიშვნელობა მე-20 საუკუნის რომანის განვითარებაზე. ძველი და ახალი აღთქმის მითებისა და თქმულებების ლიტერატურული ტრანსფორმირების პირველ წარმატებულ ცდად საყოველთაოდ აღიარებულია თომას მანის „იოსები და ძმანი მისნი“, რომლის სიუჟეტური ღერძი აგებულია ძველი აღთქმის მითზე მშვენიერი იოსების შესახებ. მე-20 საუკუნის რომანის მითოლოგიზირების პროცესს გვერდი არ აუვლია ქართული მწერლობისთვისაც, რომელშიც ორ ეტაპს გამოყოფენ – 1920-30-იან წლებსა და 1970-80-იან წლებს, რომელთაც მსგავსი და, ამავდროულად, განმასხვავებელი ნიშანდობლივი ტენდენციები ახასიათებთ. სტატიაში განხილულია 1970-80-იანი წლების ქართული რომანები, რომლებშიც მითი გამოყენებულია არა როგორც გლობალური მოდელი, არამედ როგორც *ხეხი*, რომელიც საშუალებას იძლევა ბიბლიური მითოლოგიიდან, პირდაპირი თუ კონტრასტული შედარების გზით, განსაზღვრული სიტუაციების, კოლიზიების აქცენტირების საშუალებას.

ნათია მიროტაძე

რას გვიამბობენ საკუთარი სახელები (ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების მაგალითზე)

მოხსენებაში ესთერის წიგნის ძველი ქართული ვერსიების მაგალითზე საკუთარ სახელებს ორი თვალსაზრისით განვიხილავთ: 1) რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საკუთარი სახელები ტექსტის ისტორიის შესასწავლად და 2) რამდენად ინფორმატიულია იშვიათ საკუთარ სახელთა გადანერისას დაშვებული შეცდომების ხასიათი ტექსტის ტრანსმისიის ისტორიისათვის.

I. საკუთარი სახელები – კონტამინირებული ტექსტის ისტორიის მთხრობელნი

I.1 ესთერის წიგნის სხვადასხვა ტექსტუალურ ფორმებს ერთმანეთისაგან ერთი და იმავე პირის საკუთარ სახელთა განსხვავებული ვარიანტებიც განასხვავებს. შესაბამისად, საკუთარი სახელები კონტამინაციის წყაროების კარგი ინდიკატორია.

I.2 ამასთანავე, ესთერის წიგნის კონტამინირებული ტექსტუალური ფორმის ქართულ თარგმანში (Gell) საკუთარი სახელებიც კომენტაციის იმავე წესს ემორჩილებიან, რასაც ტექსტის სხვა ტიპის ნაწილები. მოხსენებაში საკუთარ სახელთა მაგალითზე წარმოვადგენთ კონტამინაციის Gell-ში დადასტურებულ ფორმებს.

I.3 საკუთარი სახელების შემთხვევაში დუბლეტები განსაკუთრებით აზიანებს ტექსტს. შესაბამისად, როცა ეს შესაძლებელია, დუბლეტურობა სხვადასხვა გზითაა დაძლეული. ჩვენ განვიხილავთ ყველა იმ მეთოდს, რომლებიც ესთერის კონტამინირებულ ტექსტშია გამოყენებული.

II. საკუთარი სახელები – ტექსტის ტრანსმისიის ისტორიის მთხრობელნი იშვიათ საკუთარ სახელთა გადანერისას დაშვებული შეცდომების ხასიათი ტექსტის ტრანსმისიის ისტორიასაც ჰფენს ნათელს:

II.1 მაგ., საკუთარ სახელთა ჩამონათვალისას სახელთა არასწორი სეგმენტაცია მიუთითებს ისეთ დედანზე, რომლის პალეოგრაფიული მახასიათებელიც იყო *სკიპტა კონტინიუა*.

II.2 საკუთარ სახელთა გადანერისას დაშვებული ამოკითხვის შეცდომები ცხადყოფს, რომ ტრანსმისიის დასაწყისში ესთერის წიგნის ქართული თარგმანი ასომთავრულით გადანერილი ხელნაწერებით ვრცელდებოდა.

ეს ორი დეტალი კი ესთერის წიგნის კონტამინირებული ტექსტის ქართულ თარგმანისა და, შესაბამისად, მისი დედნის სიძველეზე მეტყველებს.

სოფიო მუჯირი

ებრაული მისტიკა და კაბალა ფრანც კაფკას „პროცესში“

ნაშრომში განხილულია ებრაული მსოფლმხედველობის, ტრადიციების, განსაკუთრებით კი ებრაული მისტიკის გავლენა ფრანც კაფკას პიროვნებაზე და მის ლიტერატურულ შემოქმედებაზე. ამიტომ, მოცემულ ნაშრომში ფ. კაფკას ნაწარმოავადგენთ როგორც გერმანულენოვან, მაგრამ ებრაელ მწერალს. მიუხედავად იმისა, რომ ფ. კაფკა ცხოვრობდა პრაღაში და არ ჰქონია უშუალო შეხება რაბინისტულ ტრადიციებთან, თავის პროზაულ ნაწარმოებებში და ეზოთერულ ჟანრში დანერგილ აფორიზმებში უხვად იყენებს სიუჟეტებსა და კონტექსტებს კაბალადან და ხასიდური მისტიკიდან. ებრაული რელიგიის ტრადიციებს კაფკა ეზიარა თავის მეგობრების მეშვეობით, რომლებიც ასევე პრაღაში ცხოვრობდნენ და განსხვავებით პრაღაში მცხოვრები სხვა, უკვე ასიმილებური ებრაელებისაგან, ალტერნატიულ რელიგიას ეძებდნენ.

კაფკას ნაწარმოებებში უხვად ვხვდებით კაბალას „კვალს“: მცირე კონტექსტებს, მოტივებს, თემებსა და ფიგურებს, ასევე, პოპულარულ ხასიდურ ტექსტებს (ლეგენდებს, ბიბლიის ინტერპრეტაციებს, ქადაგებებს და ა. შ.). ეს ინტერტექსტუალური პარალელები მკითხველს მიანიშნებენ ფ. კაფკას ნაწარმოებების სიღრმისეულ დონეზე, რომლის დეკოდირების გარეშე მისი გაგება შეუძლებელია. ებრაული ქვეტექსტი განსაკუთრებით იგრძნობა კაფკას „პროცესში“. რომანში წინა პლანზეა წამოწეული ცხოვრებისეული პრობლემებისგან და ცოდვებისაგან თავის დაღწევის, ასევე, იმედისა და ჭეშმარიტი გზის მიგნების საკითხები. კაბალაში გამოთქმულია რწმენა, რომ ადამიანს თვით უფალზეც კი შეუძლია ზემოქმედება, მაგრამ კაფკას ნაწარმოებების გმირები ვერ აღწევენ „უმაღლეს ინსტანციამდე“, კარგავენ იმედს და ეგუებიან თავიანთ ტრაგიკულ ბედს. ფ. კაფკა აღწერს განვითარების და იერარქიის დაბალ საფეხურზე მდგომ ადამიანს, რომელიც თავისი უუნარობის, ამბივალენტური ფიქრებისა და ქმედებების გამო, ვერ ხდება „კანონის“ გაგების ღირსი.

ეკატერინე ნავროზაშვილი

ბიბლიური მეტაფორები და მათი თარგმანი

სამეცნიერო ლიტერატურაში მეტაფორის თარგმანის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, რომელთა მიხედვითაც, მეტაფორა უთარგმნელი ერთეულია (ი. ნაიდა, მ. დეგატი), ითარგმნება (პ. მეისონი), ითარგმნება, თუმცა შეზღუდულია ენათშორისი ეკვივალენტობის შესაძლებლობები.

მოხსენებაში განვიხილავთ რამდენიმე ბიბლიური მეტაფორის (ვენახი/ვაზი – ერთი მხრივ, აღნიშნავს სოფლის ლანდშაფტსა და ადგილს, სადაც მიმდინარეობს მოქმედება (ქებ. 2.10-14; 7.12-14; 8.13-14), მეორე მხრივ, ქალს (ქებ. 2.15; 8.12; შდრ. ფსალ. 127.3; ეზეკ. 19.10), სატრფო თავის თავს უწოდებს ნარგიზსა და შროშანს (ქებ. 2.1); ასევე ბალიც სატრფოს აღმნიშვნელი მეტაფორაა (ქებ. 4.12)) „ქება ქებათა“ თანამედროვე თარგანებში (გ. ბააზოვი, ნ. ელიაშვილი, გრ. ფერაძე, ი. დავიდი...) გადმოტანის გზებსა და საშუალებებს. ქართულ თარგმანებში გვხვდება ტროპის ზუსტად თარგმნის, ჩანაცვლებისა და გამოტოვების შემთხვევები.

ირინე ნაჭყებია

ნაპოლეონის წარგზავნილთა ცნობები თეირანის შესახებ (1806-1809)

XIX საუკუნის დასაწყისში ინდოეთში ინგლისელთა სამფლობელოებზე სახმელეთო ლაშქრობის გეგმაში ნაპოლეონმა მოკავშირის ფუნქცია ირანს მიანიჭა. 1805-1809 წლებში მის მიერ იქ მივლინებული მისიების წევრებს ამ ქვეყნის შესახებ დეტალური ინფორმაციის შეკრება ევალებოდათ. ფრანგ წარგზავნილთა მიერ მოპოვებულ მრავალმხრივ საინტერესო ცნობას შორის არის ინფორმაცია ირანის ქალაქებისა და შენობების შესახებ. მოხსენებაში შევეხებით ნაპოლეონის წარგზავნილთა ცნობებს ირანის მმართველი ყაჯართა ახალი დინასტიის პირველი წარმომადგენ-

ლის, ალა მაჰმად ხანის მიერ ირანის ახალ დედაქალაქად თეირანის არჩევის მიზეზებს და მისი მემკვიდრის, ფათჰ-ალი შაჰის ზეობის პირველ წლებში ამ ქალაქის განვითარების შესახებ არსებულ ცნობებს. შაჰის კარი თეირანში მრავალ მოსახლეს და, შესაბამისად, ვაჭრობასაც იზიდავდა. შედეგად, ადრე მეტად უმნიშვნელო ქალაქი ირანის დედაქალაქისთვის დამახასიათებელ ნიშნებს იძენდა.

მოხსენება ეფუძნება საფრანგეთის არქივებში დაცულ ფრანგ წარგზავნილთა მოხსენებით ბარათებსა (რომიე – 1805, ჟობერი – 1807, ბიანკი დ'ადა – 1808, ფაბიე – 1808, სალვატორი – 1808) და მათ გამოქვეყნებულ ნაშრომებში (ანჟ დე გარდანი – 1809, დიუპრე – 1819, ტანკუანი – 1819, ჟობერი – 1821) დაცულ ცნობებს.

XIX საუკუნის დასაწყისში ეს მონაცემები ევროპელი თვითმხილველების პირველ ინფორმაციაა ირანის საქალაქო ცხოვრების შესახებ. ეს მასალა შესაძლებლობას გვაძლევს, აღვადგინოთ ირანის ახალ დედაქალაქად თეირანის ჩამოყალიბების სურათი; ამგვარად, ფრანგ წარგზავნილთა მიერ მოპოვებული ცნობები სამეცნიერო მნიშვნელოვნებას დღემდე ინარჩუნებენ.

ნონა ნებიერიძე

ებრაელთა განსახლების ისტორიისათვის სამხრეთ საქართველოში და მათი სოციალური მდგომარეობა

სამცხე-ჯავახეთში ებრაელთა განსახლების დადგენა რთულია წყაროთა სიმწირის გამო. ისტორიული წყაროების, მოგზაურთა ჩანაწერების, ებრაული ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის საფუძველზე სამხრეთ საქართველოში ებრაელთა ცხოვრების კვალი იკვეთება XVIII საუკუნეში. სამცხე-ჯავახეთში ებრაელთა განსახლების შესახებ ყველაზე ძველ ცნობებს გვანჯდის XVIII საუკუნის გეოგრაფოსი, ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც ებრაელთა დასახლებებს მოიხსენიებს აბასთუმანში, აწყურში, ახალქალაქში, ახალციხეში, გოკიოში, ხერთვისში, ახალდაბაში, ბარაღეთში, დიგვირში, ადიგენში.

ებრაელების საცხოვრებელი ადგილის შეცვლას პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორები განაპირობებდა. სხვადასხვა დროს ჯერ ანყურში, ხოლო შემდეგ ახალციხეში გადასახლდნენ სხვადასხვა სოფლიდან წამოსული ებრაელები. XIX საუკუნეში ახალციხე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა. ახალციხელ ებრაელ და სომეხ ვაჭრებს აქტიური სავაჭრო ურთერთობა ჰქონდათ მცირე აზიასთან, ირანთან და ევროპასთან. როგორც ჩანს, ეკონომიკურ აღმავლობას უკავშირდება სამხრეთ საქართველოს ქალაქებიდან და სოფლებიდან ებრაელთა გადასვლა საცხოვრებლად ახალციხეში.

ქართულ საისტორიო წყაროებთან ერთად ფასდაუდებელ მასალას გვანვდიან ევროპელი მოგზაურები და ეთნოგრაფები ებრაელთა დასახლებების, ნეს-ჩვეულებების და სოციალური მდგომარეობის შესახებ. ამ მხრივ გამორჩეულია იეჰუდა ჰალევი ჩორნის, XIX საუკუნის ებრაელი მოგზაურის და ეთნოგრაფის ჩანაწერები. მისი მოგზაურობის მიზანი იყო ებრაელთა ტრადიციების, საცხოვრებელი ადგილის, ისტორიული მასალების, მატერიალური სიძველეების, არტეფაქტების და სხვა დოკუმენტური მასალის გამოვლენა. მან დეტალურად აღწერა სინაგოგის კედელზე დატანილი ებრაული წარწერები და ეპიტაფიები. უძველესი საფლავის ქვა ახალციხეში 1739 წლით დაათარიღა და თავის ჩანაწერებში შესწორება შეიტანა ფრანგი ორიენტალისტის, მარი ბროსეს მიერ წაკითხულ ტექსტში. სამხრეთ საქართველოში მოგზაურობისას იეჰუდა ჰალევი ჩორნი სტუმრობდა ახალციხის და ანყურის ებრაულ თემს.

სამხრეთ საქართველოში ებრაელთა ცხოვრების კვალი დღეისათვის არ ჩანს. გამონაკლისია ანყური, სადაც მხოლოდ ებრაული სასაფლაოა შემორჩენილი და ახალციხე, სადაც ებრაულ უბანში მდებარეობს ორი სინაგოგა და დიდი სასაფლაო. რაც შეეხება მოსახლეობას, დღეისათვის ახალციხე სამხრეთ საქართველოში ერთადერთი ქალაქია, სადაც ებრაელები კვლავაც ცხოვრობენ.

ნინო პოპიაშვილი

პროზელიტიზმის ფუნქციისათვის ჰაგიოგრაფიულ ტექსტში

პროზელიტი მომდინარეობს ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანიდან. იგი ბიბლიაში მიემართება ადამიანს, რომელიც არ არის წარმოშობით იუდეველი, ანუ ებრაელი, მაგრამ ცხოვრობს იუდეველთა შორის. პროზელიტიზმი ზოგადრელიგიური მოვლენაა, ეფუძნება რწმენის, აზრის თავისუფლებას და მის გავრცელება-გადაცემას. პროზელიტიზმი, ანუ რელიგიის შეცვლა გავრცელებული იყო სხვადასხვა მიზეზით. პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, დიდაქტიკურ-პედაგოგიური ასპექტები მასობრივი პროზელიტიზმის ხელშემწყობი ფაქტორებია.

ჰაგიოგრაფიული თხზულების პირველი გმირები პროზელიტები არიან. ქრისტიანული პროზელიტიზმი გავრცელებული იყო ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან და მასობრივი ხასიათი ჰქონდა. ქრისტიანული პროზელიტიზმი აღწერილია წმინდანთა ცხოვრებისა და აღსასრულის შესახებ მოთხრობილ მოკლე და ვრცელ მარტვილოლოგიურ აქტებსა და ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში.

ქართული ჰაგიოგრაფია იცნობს პროზელიტიზმის ნებადართულ, იძულებით და აკრძალულ ფორმებს. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქართული ჰაგიოგრაფია აღწერს პროზელიტიზმს უცხოელთა შორის (ევსტათი მცხეთელი, აბო თბილელი), იმ ეპოქაში, როდესაც ქრისტიანობა აღარ იდევნება, მაგრამ ისჯება პროზელიტიზმი უცხოელთა შორის.

მოხსენებაში ვისაუბრებთ პროზელიტიზმის ფუნქციებზე ქართულ ჰაგიოგრაფიაში. ყურადღებას გავამახვილებთ პროზელიტიზმის სახეობებზე, ასევე, უცხოელთა პროზელიტიზმის ასახვის თავისებურებებზე ქართულ ჰაგიოგრაფიაში.

ნათელა ჟვანია

Wa – „და“ კავშირის შესახებ ეთიოპურში

ეთიოპურში ყველაზე გავრცელებულია შემაერთებელი კავშირი wa-„და“, რომელიც როგორც ცალკე სიტყვებთან იხმარება წინსართად, ასევე აკავშირებს წინადადებებს.

wa-სათან დაკავშირებით აღინიშნება შემდეგი მოდელები:

Wa-sa მაპირისპირებული კავშირი „მაგრამ“

Wa-hi „და აგრეთვე“ „შემდგომ“

Wa-ni „აგრეთვე“, „სხვამხრივ“, „ისევე როგორც“

Wa-'enka „და ასე რომ“

Wa-'emze „შემდეგ“

უარყოფით წინადადებაში იგივე ნაწილაკები იხმარება wa-სთან: მაგ. wa'i „და“ „არა“ wa'i-hi „არა“, wa'i-ni „არც კი“.

მურმან ქუთელია

ღმერთი და იესო ქრისტე ჯიბრან ხალილ ჯიბრანის შემოქმედებაში

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის (1883–1931) დამოკიდებულება რელიგიასთან, ღმერთთან და იესო ქრისტესთან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია მისი სამწერლო მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე, კერძოდ, ფრიდრიხ ნიცშეს გავლენით (დაახლოებით XX ს-ის 10-იანი წლები) შექმნილ ნაწარმოებებსა და შემოქმედებითი მონიჭულობის პერიოდში დაწერილ ნაწარმოებებში.

ნიცშეს გავლენის ქვეშ ყოფნისას ჯიბრანის დამოკიდებულება რელიგიასთან და ღმერთთან საკმაო აგრესიულობით გამოირჩევა. „მესაფლავეში“ წარმოდგენილი ნიცშეს ზეკაცის მსგავსი „შეშლილი ღმერთისთვის“ არ არსებობს არც ღმერთი, არც რელიგია და რწმენა იმქვეყნიური ცხოვრებისა. ყოველივე ამას ის წინაპრებისგან მომდინარე ცდომილებად მიიჩნევს.

ასევე ამ პერიოდში ჯიბრანთან განსხვავებულია იესო ქრისტეს სახე. ნიცშეს გავლენით დახატული იესო ქვეყნიერებას მოვლენია არა როგორც სიყვარულისა და კაცთმოყვარეობის მქადაგებელი, არამედ როგორც მტრობისა და ომის მთესველი. მოწიფულობის პერიოდში დანერილ ნაწარმოებებში იესო ადამიანებისთვის წამებული და მათი ბედნიერებისთვის მებრძოლი პიროვნებაა, მებრძოლი მაღალი იდეალებისთვის. ამასთანავე, მისი მოსაზრებები რელიგიისა და ღმერთის შესახებ მოგვიანო პერიოდში, განსაკუთრებით მის ინგლისურენოვან ნაწარმოებებში დაბალანსირებულია და ყველასათვის მისაღები.

ჯიბრანის მსჯელობებში რელიგიასა და ღმერთის შესახებ მეტ-ნაკლები დოზით ვპოულობთ პანთეისტურ და, განსაკუთრებით, სუფიურ ელემენტებს.

მარიამ ჩაჩიბაია

სირიული პოლემიკური მწერლობის შესახებ

ისლამის თანამედროვე მკვლევრები ადასტურებენ ებრაელებისა და ქრისტიანების არსებობას სამყაროში, რომელშიც იშვა ისლამი. არსებობს სულ რამდენიმე ფრიად გაბედული გამოკვლევა, მათ შორის ერთ-ერთს ავტორი უწოდებს „ყურანის უცხო წარმოშობის ლექსიკას“ და, ამასთანავე, გამოთქვამს მოსაზრებას ადრეული ხანის ისლამის ქრისტიანული, ებრაულ/სამარიტული თუ მანიქევლური წარმომავლობის შესახებაც კი. მაგრამ დღეს მკვლევრები უმეტესწილად დუმან ფართო რელიგიურ-კულტურული მატრიცის შესახებ, რომელშიც გაჩნდა მუჰამედი და ისლამი, განსაკუთრებით კი იმ ნაწილის შესახებ, რომელიც მოიცავს სირიულენოვანი ხალხის არამეულ მემკვიდრეობას. ძალზე მცირენი არიან ისლამის მკვლევრები, რომლებმაც იციან სირიული, რომ არაფერი ვთქვათ არამეულ ენაზე მეტყველი ხალხის რელიგიის ისტორიისა და კულტურის ცოდნაზე უფრო ზოგადად.

ასევე მცირენი არიან სირიელი მკვლევრები, რომელთა არაბულისა და ადრეული ხანის ისლამის ცოდნა შეესაბამება ამ

სფეროში კომპარატიული კვლევის მოთხოვნებს. მაგრამ ეს არ გულისხმობს VIII-XIII საუკუნეების აღმოსავლური ეკლესიების სირიულენოვან მწერლებს, რომლებიც ისლამის სამყაროში ცხოვრობდნენ. მათ ყურადღების მიღმა დატოვეს არა მხოლოდ ისლამის წარმოშობის მიზეზები, არამედ რიგი შესანიშნავი ნაშრომებისა, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქრისტიანული რწმენის დაცვას მუსლიმთაგან მომდინარე რელიგიური გამოწვევებისაგან და ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაენიათ ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევის ტალღისათვის. მოხსენების მიზანია, ყურადღების გამახვილება სირიულ თხზულებებზე, რომლებიც იშვიათ საშუალებას იძლევა თვალი გავადევნოთ, თუ როგორ შეხვდნენ სირიულენოვანი ქრისტიანები ისლამის გამოწვევას, სავარაუდოდ, ადრე VIII საუკუნეში.

გურამ ჩიქოვანი

დიალექტოლოგიური მასალა, როგორც წყარო

ცენტრალურ აზიაში არსებული არაბული დიალექტოლოგიური მასალები, საყურადღებო ენობრივი მახასიათებლების გარდა, შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას არაბთა ისტორიის, ეთნოგრაფიისა და კულტურის შესახებ. ამის შესახებ მიუთითებდა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში. მეცნიერმა აღმოაჩინა მის მიერ ჩანერილი ერთ-ერთ ზღაპარში ნესტან-დარეჯანის ანალოგიური სახელი და გამოკვლევა მიუძღვნა აღნიშნული საკუთარი სახელის წარმომავლობას.

ჩემ მიერ ბუხარისა და კაშკადარიის არაბულენოვან ყიშღაღებში, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, არაერთ ჩანანერში დაფიქსირდა არაბთა ისტორიის, კულტურის, არაბულ-ქართული მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობისთვის საინტერესო და საყურადღებო ენობრივი და კულტურული ფაქტები.

მოხსენებაში განხილულია ზოგიერთი მათგანი.

ზვიად ცხვედიანი

ჰისმას უდაბნოს არაბული დიალექტის ერთი თავისებურების შესახებ

თანამედროვე საუდის არაბეთის ჩრდოლო-დასავლეთითა და იროდანიის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ჰისმას უდაბნოს/რაიონის მოსახლეობის მეტყველება საინტერესოა არაბული ენის ისტორიისა და ისტორიული დიალექტოლოგიის კვლევის თვალსაზრისით. ჰისმას ტერიტორია, სადაც ნაბატეველები და სხვა არაბული ტომები იყრიდნენ თავს, მნიშვნელოვანია ისტორიული თვალსაზრისით.

ჰისმას უდაბნოს ძვ. წ. I – ახ. წ. IV სს-ების ეპიგრაფიკული წარწერების ენა (Hismaitic) ძველი ჩრდ. არაბულის, კერძოდ, სამუდურის განშტოებაა და სხვა ერთეულეთან ერთად (დუმაური / Dumaitic, თეიმას ოაზისის ძეგლები / Taymanitic) მის ქვეტიპს ქმნის (<http://krc.orient.ox.ac.uk/ociana/>).

ჰისმას უდაბნოს თანამედროვე არაბული დიალექტი, რომელშიც შუა საუკუნეების არაბულენოვან გრამატიკულ ნაშრომებში (სიბავაიჰი, იბნ იაიში, იბნ ჯინი...) დამონმებული დიალექტური ფორმები ფიქსირდება, არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდოლო-დასავლურ ჯგუფში ერთიანდება. აქ საქმე გვაქვს წყაროებში *al-ʿaǧʿa* ტერმინით სახელდებულ ერთ ფონეტიკურ მოვლენასთან: $y > \xi$ პაუზაში / პაუზალურ პოზიციაში სიტყვა-ფორმის აუსლაუტში. საყურადღებოა, რომ ეს პროცესი სამხრეთ მესოპოტამიისა და ყურის ზოგიერთ სუბდიალექტშიც დასტურდება.

ნინო წერეთელი

საბჭოთა ცენზურა და ლიტერატურა (მეოცე საუკუნის 20-იანი წლები)

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში იძულებით საბჭოთა ხელისუფლება დმყარდა. ანექსირებულ საქართველოში გაჩნდა საბჭოთა საზოგადოება, რომელმაც სპეციფიკურ პირო-

ბებში დაიწყო არსებობა. ლიტერატურული თუ კულტურული კომუნიკაციის ყველა არხი ხელისუფლების კონტროლს დაექვემდებარა. ამ პერიოდში ლიტერატურული პროცესების თუ ლიტერატურული ცხოვრების შესწავლა, თუ უბრალოდ აღწერა, შეუძლებელია ხელისუფლებასთან კავშირის გარეშე. მხედველობაში გვაქვს სპეციალური დადგენილებები, ლიტერატურის საკითხებზე დირექტივებით გაჯერებული პუბლიკაციები, ლიტერატორთა პირდაპირი, ჯგუფური თუ პირადი კონტაქტები ხელისუფლებასთან. ამის შედეგად ზოგიერთი მათგანის წახალისება, საგამომცემლო ცენზურა, რეპრესიული მეთოდები. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ სალიტერატურო კრიტიკა, რომელსაც განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შეფასებაში. რა თქმა უნდა, უმეტესად ეს იყო ტენდენციური, ხელისუფლების პოზიციის გამომხატველი შეფასებები.

ცენზურის ისტორიაში საბჭოთა ცენზურას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში საბჭოთა კავშირის იდეოლოგიური სიმძლავრის სიმბოლოს წარმოადგენდა. 1922 წელს შეიქმნა მთავლიტი – ლიტერატურის და საგამომცემლო საქმეთა მთავარი სამმართველო, რომელიც ბეჭდური სიტყვის მთავარი ცენზორი გახდა. სანახაობრივ ღონიძებებს კი 1923 წელს შექმნილი მთავრეპერტკომი აკონტროლებდა. მთავლიტი განსაკუთრებული სიმკაცრით ეკიდებოდა „მტრული იდეოლოგიის“ შემცველ ნებისმიერ ლიტერატურას და ლიტერატურას, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების სანინააღმდეგო აგიტაციას და სამხედრო საიდუმლოების გამჟღავნების საშიშროებას შეიცავდა. ხაზგასამელია, რომ მთავლიტი საგანგებო ყურადღებას უთმობდა და განსაკუთრებით აკონტროლებდა, საბავშვო ლიტერატურის გამოსცემას.

30-იან წლებში საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბჭოთა ცენზურის ყოვლისმომცველი სისტემა. სწორედ ამ სისტემამ გადაწყვიტა მრავალი შემოქმედის ბედი ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

ანა ხარანაული

ბიბლიის ებრაული შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში

ძვ. აღთქმის ებრაული ორიგინალი, მისი ენა, შედგენილობა და სტრუქტურა ქართული ეკლესიის პრაქტიკაში აქტუალური არასოდეს ყოფილა. თუმცა, ამის მიუხედავად, სხვადასხვა ტიპის კრებულებში (ეპიფანე კვიპრელის „საზომთათის და სანყაურთა“, ე.წ. მცხეთური ფსალმუნი, ოშკის ბიბლია, ეფრემ მცირეს კოლოფომნები და სხვ.) და სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება ცნობები ებრაული ენის შესახებ.

ამ თემასთან დაკავშირებით პირველ რიგში უნდა გამოიყოს ებრაული ანბანის ასახვა ქართულ წყაროებში. ებრაული ანბანი ქართველი მკითხველისათვის ორი კუთხით – ბიბლიის სტრუქტურისა და მისი სიმბოლიკის თვალსაზრისით არის საინტერესო.

აღსანიშნავია ასევე ქართულ წყაროებში ებრაულენოვანი ტექსტის ქართული ტრანსკრიბციები და მათი განმარტებები, ებრაული საკუთარი სახელებისა თუ ებრაული ნასესხობების ეტიმოლოგიური განმარტებები.

ქართულ წყაროებში ასახული ებრაული ასოები თუ ებრაული ენის ნიმუშები მოწმობენ, რომ ქართველ მთარგმნელებსა თუ გადამწერებს უშუალო კონტაქტი ებრაულენოვან წყაროებთან არ ჰქონიათ – მათ არც ებრაული ასოების მოხაზულობა გადმოაქვთ სწორად და არც ებრაული ასოების სახელწოდებებისა და ტექსტების მართებულ ტრანსკრიბირებას ახდენენ. ქართველ მთარგმნელებსა თუ გადამწერებს თარგმანებში ებრაული ორიგინალის ამა თუ იმ ფორმით ასახვა უფრო ქართველი მნიგნობრების სურვილზე მეტყველებს, მეტი მეცნიერული დამატერებლობა შემატონ ტექსტს, ვიდრე უშუალოდ ებრაულის ცოდნასა და ამ ცოდინის პრაქტიკულ გამოყენებაზე.

ელენე ჯაველიძე

ნარატიული სტრატეგიები ორჰან ფამუქის რომანში „მე წითელი მქვია“

ორჰან ფამუქის რომანის პოლიფონურ თხრობაში ნაწარმოების ორი ძირითადი თემატური ხაზი: მკვლელობა, მკვლელის ვინაობის დადგენა და, მეორე მხრივ, სასიყვარულო სამკუთხედი გამოხატული, რომელიც მეტატექსტურ დონეზე იმეორებს ნიზამის „ხოსროვისა და შირინის“ ისტორიას. ამ მრავალშრიან და მულტიცენტრულ თხრობაში ვხვდებით ნარატივებს ნარატივებში, ნიშნებისა და სიმბოლოების ლაბირინთებს. „მე წითელი მქვია“ ჰყავს 20 ექსპლიციტური ნარატორი. გვხვდება მინიატურებიდან გაცოცხლებული სხვადასხვა არსება და არტეფაქტი: ძალი, ცხენი, წითელი, ხე, მელანი, სიკვდილი, სატანა და სხვ. ისინი დეკორატიული და დიგრესიულია ძირითადი თემიდან გადახვევების თვალსაზრისით. ადამიანი-აქტორები მორიგეობით მოგვითხრობენ მკვლელობის ისტორიის თავიანთ ნაწილს. მთხრობელთა დიდი რაოდენობა ემსახურება მკვლელობის სხვადასხვა სიბრტყეზე გაშლას. არ არის ყოვლისმცოდნე აუტოქტონული მთხრობელი, რომელიც სიმართლეს ხედავს, ყველა მთხრობელი არასანდოა.

ფამუქი რომანის სტრუქტურას ისე აყალიბებს, რომ ყველა ნარატორის თხრობა მიმდინარეობს ერთი ფუნდამენტური სათხრობი დინების ჩარჩოში. მულტიპერსპექტიული ფოკალიზაცია რომანში თხრობის აგების ფუნდამენტური ასპექტია. თხრობის ეს მოდელი მოითხოვს არჩევანის სხვადასხვა ვარიანტსა და პროეცირებას სხვადასხვა დონეზე, რაც მთავარია, ყოველი არჩევანი პოტენციურად ააქტიურებს ალტერნატიულ პერსპექტივებს. ნარატორები ისე ესაუბრებიან მკითხველს, თითქოს რომანში თავიანთი არსებობის შესახებ იციან, სათხრობი ესტაფეტის გადაცემა რომანის სპეციფიკურ სტრუქტურას აყალიბებს. მრავალი აქტორი წიგნის მეტაფიქციურ სურათს აყალიბებს.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიქოტომია, რომელიც ფერწერის სტილის კონკურენციის საფუძველზე წარმოებს, სიუჟეტს დამსჯელი თეოლოგიური დისკურსით ავსებს, წერის ექვრა-

ზისულ ტექნიკას მჭვრეტელობით-მედიტაციური ტონალობა შემოაქვს. ყველა ამ ფაქტორისა და ტექსტის რთული სტრუქტურისა და ნარააციის რეჟიმების გათვალისწინებით უნდა ითქვას, რომ რომანის თხრობის ტექნიკა უაღრესად საინტერესოა.

მარიკა ჯიქია

თურქული წარმომავლობის პერსონაჟები ქართულ პოეზიაში

(თურქი, ხაზარი, ყივჩაღი, პაჭანიკი, თათარი)

თურქული მოდგმის ხალხებს ქართველებთან ურთიერთობა V საუკუნიდან ჰქონდათ. თურქული ეთნოსის პირველი ხსენება იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაშია“: ვარსქენი მიდის „ჰონთა ზედა საბრძოლველად“. ადრეულ საუკუნეებში ხაზართა და ქართველთა მჭიდრო ურთიერთობაზე მეტყველებს ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ხაზარული იყო ერთი იმ ექვს ენათაგანი, რომელიც „იზრახებოდა ქართლსა შინა“. ცნობილია საქართველოს სამეფოს ურთიერთობა ანატოლიაში ჩამოყალიბებულ პირველ თურქულ სახელმწიფოსთან. დავით აღმაშენებლის მიერ 1118 წელს ჩამოსახლებული „ყივჩაღთა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს“. „დიდი თურქობის“ დროს, მემატიანის ცნობით, გეგონებოდა, რომ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქვეყნისა“ ქართლში იყო ჩამოსახლებული. თურქული სასულთნოების წარმომადგენლებს იღებდნენ ქართველთ სამეფო კარზე „პატივითა და ზარით“, იყო ხმა „მგოსანთა და მოშაირეთა“, ეწყობოდა „დარბაზობა“, „ნადირობა და ბურთაობა“. წყაროების ანალიზიდან გამომდინარე, ურთიერთობა ძველ თურქულენოვან სამყაროსთან მხოლოდ ომებით არ განისაზღვრებოდა და კულტურულ-ეკონომიკურ სფეროსაც მოიცავდა, რაც პოეზიაშიც აისახა.

მოხსენებაში წარმოვაჩინეთ ლადო ასათიანის, გიორგი ლეონიძის, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის, გოდერძი ჩოხელისა და სხვათა პოეტური თხაზულებების თურქული წარმომავლობის პერსონაჟებს.

